



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/41

ქ. თბილისი


8 ივნისი 2018

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ბ. მაისურაძის 2018 წლის 21 მაისის №01-09/33/2537 წერილის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 მაისის №01-05-04/111 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 8 ივნისის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებულ რეგულაციებს და ასევე, განსაზღვრავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50¹ მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის – ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარების წესის დადგენაზე უფლებამოსილ ორგანოს;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე